

# BAG ინდექსი

ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციისთვის

IV კვარტალი  
2019



Research

# BAG ინდექსი

IV კვარტალი, 2019

## სარჩევნი

<b>BAG</b> ინდექსი .....	4
<b>BAG</b> ბიზნეს კლიმატი .....	4
<b>BAG</b> დასაქმების ბარომეტრი .....	9
<b>BAG</b> ინვესტიციების კვლევა .....	10

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრი კომპანიების მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრისა და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. PMC კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

## BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატი გამოითვლება BAG-ის წევრი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით BAG-ის წევრი ბიზნესები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს. მათ შეუძლიათ აღწერონ თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა როგორც „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ ან „ცუდი“ და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი როგორც „უფრო ხელსაყრელი“, „უცვლელი“ ან „ნაკლებად ხელსაყრელი“. BAG-ის ბიზნეს კლიმატი<sup>1</sup> წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: მრეწველობა, მომსახურება, ვაჭრობა და მშენებლობა.

გარდა მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის შეფასებისა, BAG-ის წევრები, ასევე, აფასებენ გაყიდვების ფასების, გაყიდვების/ბრუნვის/მოთხოვნის და დასაქმებულთა რაოდენობის მდგომარეობას გასულ კვარტალში და მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის.

**2019 წლის მეოთხე კვარტალში, BAG-ის წევრმა ბიზნესებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი შეაფასეს დადებითად. 2019 წლის მეოთხე კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 40.9 ეწულა შეადგინა, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელმა შეადგინა 29.5 ეწულა, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელმა - 53.1 ეწულა.**


## BAG ბიზნესციკლის საათი

BAG ბიზნესციკლის საათი ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მოლოდინს შორის მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში საკოორდინატო სიბრტყეზე. საკოორდინატო სიბრტყეზე მეოთხედები აღნიშნულია როგორც: აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- თუ გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის ინდიკატორი მოხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში.
- თუ გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის ინდიკატორი მოხვდება „ბუმის“ მეოთხედში.

<sup>1</sup> BAG-ის ბიზნეს კლიმატის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.

- თუ გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის ინდიკატორი მოხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში.
- თუ გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის ინდიკატორი მოხვდება „რეცესიის“ მეოთხედში.



**გრაფიკი 1:** BAG ბიზნეს კლიმატი, IV კვარტალი 2019

მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი ოთხივე სექტორში (მრეწველობა, მომსახურება, ვაჭრობა, მშენებლობა) დადებითად შეფასდა.

**ცხრილი 1:** საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2019 წლის IV კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
მრეწველობის სექტორი	51.4	43.3	60.0
მომსახურების სექტორი	36.8	21.9	52.8
ვაჭრობის სექტორი	39.7	36.6	42.9
მშენებლობის სექტორი	45.9	25.0	68.8

**მდგომარეობა 2019 წლის მესამე კვარტალში**


- გამოკითხული BAG-ის წევრების 43.4% აცხადებს, რომ მათ მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წლის მესამე კვარტალში გაიზარდა, მაშინ როცა 46.5%-თვის ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა, 10.1%-თვის კი შემცირდა.

- მრეწველობის სექტორში გამოკითხულთა 33% აცხადებს, რომ მათ მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წლის მესამე კვარტალში შემცირდა, მაშინ როცა ვაჭრობის სექტორში გამოკითხული BAG-ის წევრებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 7%-ია. რაც შეეხება მშენებლობისა და მომსახურების სექტორებს, აღნიშნული მაჩვენებელი 8%-სა და 8,4%-ს შეადგენს.
- გამოკითხულთა 22% აცხადებს, რომ გაყიდვების ფასები 2019 წლის მესამე კვარტალში გაიზარდა, 69%-სთვის აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა, ხოლო 9%-სთვის შემცირდა.
- მომსახურების სექტორში გამოკითხულთა 12.6%, ხოლო ვაჭრობის სფეროში გამოკითხულ კომპანიათა 10% აცხადებს, რომ გაყიდვების ფასები 2019 წლის მესამე კვარტალში შემცირდა, ხოლო მშენებლობისა და მრეწველობის სექტორებში გაყიდვების ფასების კლება გამოკითხული BAG-ის წევრებიდან არცერთს არ დაუფიქსირებია.
- წარმოების სექტორში, გამოკითხული BAG-ის წევრების 38% აცხადებს, რომ 2019 წლის მესამე კვარტალში მოთხოვნა შემცირდა.


## მოლოდინი 2020 წლის პირველი კვარტლისთვის

- 2020 წლის პირველ კვარტალში, გამოკითხული BAG-ის წევრი კომპანიების 31.7% მოელის დაქირავებულთა რაოდენობის ზრდას, მაშინ როცა გამოკითხულთა 61.4% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას, ხოლო 6.9% მოელის კლებას.
- 2020 წლის პირველ კვარტალში, გამოკითხული ბიზნესების 32.3% მოელის გაყიდვების ფასების ზრდას, მაშინ როდესაც 61.6% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას, ხოლო 6.1% მოელის კლებას.
- 2020 წლის პირველ კვარტალში, ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში, გამოკითხული BAG-ის წევრების უმეტესობა არ მოელის გაყიდვების ფასების, შეკვეთების/ადგილობრივი წარმოებისა და დაქირავებულთა რაოდენობის მატებას. მათი უმეტესობა მოელის, რომ აღნიშნული ინდიკატორები უცვლელი დარჩება.


2020 წლის პირველ კვარტალში, მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა (77%) მოელის მშენებლობის/გაყიდვების ზრდას. აღნიშნული, სავარაუდოდ, განპირობებულია საერთაშორისო ეროვნული ბანკის მიერ საბანკო რეგულაციების შესაძლო შერბილების მოლოდინით.




გრაფიკი 2: 2019 წლის მესამე კვარტალში არსებული მდგომარეობა და 2020 წლის პირველი კვარტლის მოლოდინი ვაჭრობის სექტორში



გრაფიკი 3: 2019 წლის მესამე კვარტალში არსებული მდგომარეობა და 2020 წლის პირველი კვარტლის მოლოდინი მრეწველობის სექტორში.




გრაფიკი 4: 2019 წლის მესამე კვარტალში არსებული მდგომარეობა და 2020 წლის პირველი კვარტლის მოლოდინი სამშენებლო სექტორში.



გრაფიკი 5: 2019 წლის მესამე კვარტალში არსებული მდგომარეობა და 2020 წლის პირველი კვარტლის მოლოდინი მომსახურების სექტორში.


## ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორების შესწავლისას, გამოკითხული BAG-ის წევრების 69%-მა განაცხადა, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შეშლელი ფაქტორები, მაშინ როცა 31%-ის აზრით, მსგავსი ფაქტორები არ არსებობს.



გრაფიკი 6: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესებისთვის

## დაფინანსება



გრაფიკი 7: დაფინანსება

იმ კომპანიების 90%-მა, რომლებმაც ბოლო პერიოდში სცადეს ფინანსების მოძიება, განაცხადეს, რომ მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა პრობლემას არ წარმოადგენს, მაშინ როცა 10% ფინანსებზე ხელმისაწვდომობას პრობლემად მიიჩნევს. აღნიშნული შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ BAG-ის წევრები საშუალო და მსხვილი ბიზნესები არიან და მათ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები უზრუნველყოფის შესახებ. უფრო მეტიც, კომპანიების მიერ წარმოებული, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ანგარიშგების საფუძველზე, ფინანსურ ინსტიტუტებს უადვილდებათ მათი აქტივების შეფასება. აღნიშნული ფაქტორები კი ფინანსურ ინსტიტუტებს უმცირებს სესხის გაცემის რისკებს.



## BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ეფუძნება BAG-ის წევრების გამოკითხვას. კომპანიები აფასებენ მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილებას<sup>2</sup>. დასაქმების ბარომეტრი წარმოადგენს სხვაობას „მზარდის“ და „კლებადის“ პროცენტულ წილებს შორის.

2019 წლის IV კვარტალში გამოკითხულმა BAG-ის წევრმა კომპანიებმა პოზიტიურად შეაფასეს დასაქმების მოლოდინი. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 26.1 ქულა შეადგინა.

სექტორების მიხედვით, გამოკითხული BAG-ის წევრების მიერ, ყველაზე პოზიტიური მოლოდინი დაფიქსირდა სამშენებლო სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიური მოლოდინი დაფიქსირდა მრეწველობის სექტორში. სამშენებლო სექტორში დასაქმების ზრდის მოლოდინი შესაძლოა, აიხსნას კომპანიების მიერ გაყიდვების მოცულობის და ფასების მატების შესახებ არსებული მოლოდინით.

**ცხრილი 2:** 2019 წლის მეოთხე კვარტლის საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით, დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით (საბალანსო მნიშვნელობები):	
სექტორი	IV კვარტალი, 2019
მრეწველობა	11.1
მომსახურება	14.6
ვაჭრობა	33.3
მშენებლობა	50

<sup>2</sup> კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებული საშუალო.

BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

## BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ჩატარდება წელიწადში ორჯერ, PMC კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის, BAG-ის წევრი ბიზნესები დაიყო ოთხ სექტორად (როგორც, BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): მრეწველობა, მომსახურება, ვაჭრობა და მშენებლობა. 2019 წლის ბოლოს ჩატარებულმა კვლევამ მოიცვა BAG-ის წევრების მიერ 2019 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2020 წლისთვის.


BAG ინვესტიციების კვლევის შედეგების მიხედვით:

- ვაჭრობის სექტორში გამოკითხული BAG-ის წევრების 56%-მა განაცხადა, რომ მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გაიზარდა. 2020 წელს კი გამოკითხულთა ნახევარი (50%) გეგმავს, 2019 წელთან შედარებით, ინვესტიციების მოცულობის გაზრდას.
- მრეწველობის სექტორში გამოკითხულ BAG-ის წევრების 40%-მა განაცხადა, რომ მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, შემცირდა. აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია (50%) 2020 წლის საინვესტიციო გეგმებისთვის (2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).
- სამშენებლო სექტორში ყველა გამოკითხულმა ბიზნესმა განაცხადა, რომ მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია (67%) 2020 წლის საინვესტიციო გეგმებისთვის (2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).
- მომსახურების სექტორში გამოკითხულთა 55%-მა განაცხადა, რომ მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია (65%) 2020 წლის საინვესტიციო გეგმებისთვის (2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).

### საინვესტიციო გარემო 2019 წელს

საერთო ჯამში, გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესების 62%-მა განაცხადა, რომ 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესების 24%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 14%-სთვის შემცირდა.

**ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით**



გრაფიკი 8: საინვესტიციო გარემო 2019 წელს


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზრდა შეინიშნებოდა ალტურვილობასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში, ამასთანავე შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამაც იმატა, თუმცა შედარებით ნაკლებად. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული BAG-ის წევრების უმრავლესობამ ალტურვილობასა

(59%-მა) და პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში (58%-მა) განხორციელებული ინვესტიციების ზრდა დააფიქსირა. რაც შეეხება შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას, გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესების 48%-სთვის არ შეცვლილა, ხოლო 38%-სთვის გაიზარდა.

## საინვესტიციო გეგმები 2020 წელს


გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესების უმრავლესობამ (59%-მა) განაცხადა, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზარდება. ამავდროულად, გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესების 25% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელოს, ხოლო მათგან 16% მოელოს შემცირებას.

**ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების გეგმები 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით**




გრაფიკი 9: საინვესტიციო გეგმები 2020 წელს


ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა ალტერნატიული და პროგრამული უზრუნველყოფის / მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად შენობა-ნაგებობების მიმართულებით. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (59%) მოელოს, რომ 2020 წელს მათი ინვესტიციები გაიზარდება პროგრამული უზრუნველყოფის / მონაცემთა ბაზების მიმართულებით (ეს მოიცავს გამოკითხულ BAG-ის წევრ ბიზნესებს მომსახურების, მშენებლობისა და ვაჭრობის სექტორებში, ხოლო მრეწველობის სექტორში არც ერთი გამოკითხული BAG-ის წევრი ბიზნესი არ მოელოს ინვესტიციების ზრდას პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით) და ალტერნატიული (53%) მიმართულებით, მაშინ როცა გამოკითხულთა მხოლოდ 36% თვლის, რომ 2020 წელს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზარდება შენობა-ნაგებობების მიმართულებით.




გრაფიკი 10: საინვესტიციო გარემო 2019 წელს და საინვესტიციო გეგმები 2020 წელს ვაჭრობის სექტორში



გრაფიკი 11: საინვესტიციო გარემო 2019 წელს და საინვესტიციო გეგმები 2020 წელს მრეწველობის სექტორში



გრაფიკი 12: საინვესტიციო გარემო 2019 წელს და საინვესტიციო გეგმები 2020 წელს მშენებლობის სექტორში



გრაფიკი 13: საინვესტიციო გარემო 2019 წელს და საინვესტიციო გეგმები 2020 წელს მომსახურების სექტორში



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია  
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

**PMC Research, [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
Business Association of Georgia, [info@bag.ge](mailto:info@bag.ge)**